

ნანა ომარაშვილი

მიწათმოქმედების კულტურა და აბრარული წეს-ჩვეულებები სუნიებში

არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალების შეჯერებით ირკვევა, რომ მიწათმოქმედებას დაღესტანში დიდი ხნის ისტორია აქვს, რასაც ჩვ.წ. აღ-მდე III ათასწლეულით დათარიღებული განათხარი მასალაც მოწმობს, რომელშიც უამრავი ნამგლის პირი, მარცვლის საშრობი და სამტკრევი იარაღია აღმოჩენილი. ჩვ.წ. აღ-მდე II ათასწლეულით დათარიღებული ზედა გუნიბის, სიგიტლინის, უსიშინის არქეოლოგიური ძეგლები ამდიდრებს წარმოდგენას მიწათმოქმედების სიძველესა და სამეურნეო როლზე. მიწათმოქმედების განვითარებამ აღმავლობა განიცადა ენეოლითისა და ბრინჯაოს ეპოქებში, როცა ასე თუ ისე განისაზღვრა დაღესტნის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა. ამასთან არის დაკავშირებული კაიაკენტის დასახლების განათხარი მასალა, რომელშიც აღმოჩენილია კერამიკული მარცვლის სასრესები, პურის საცხობები და სხვა. აქვეა წარმოდგენილი ადრე და შუა ბრინჯაოს შრეები. გვიან ბრინჯაოს ხანაში დაღესტანში შეიქმნა სპილენძის წარმოების ცენტრი. ამავე პერიოდში ზოგიერთ რაიონში იწყება მეცხოველეობაზე გადასვლა, თუმცა მიწათმოქმედების კულტურა საყოველთაო რჩებოდა. გვიან ბრინჯაოს ხანის უმთავრეს შრომის იარაღს წარმოადგენდა არა მარტო თოხი, არამედ კავიცი. მიწის დასამუშავებლად ამავე ხანიდან დაიწყეს საქონლის გამწევი ძალის გამოყენება. აღმოჩენილი მარცვლის სასრესების სიდიდის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ მიწათმოქმედების წარმოების მასშტაბებზე. ამ ეპოქიდან გამოჩენილი ბრინჯაოს ნამგლები დასტურია მიწათმოქმედების დიდი დაწინაურებისა. მსგავსი ცვლილებები მიწათმოქმედებამ აღნიშნულ პერიოდში განიცადა მთელს კავკასიაში.

ენეოლითის ხანაში მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაზე დამყარებული მეურნეობა წარმოადგენდა ადგილობრივი ტომების ეკონომიკური განვითარების ბაზას. ამავე პერიოდიდან ცნობილი ხდება მოხენითი მიწათმოქმედების ტიპი, რომელიც, ფიჭრობენ, მტკვარ-არაქსის კულტურის გავლენა უნდა იყოს.

ყოველივე ზემოქმედების საფუძველზე დაღესტნელი მკვლევარი ს. ასიატილოვი ამტკიცებს, რომ ძველ დროში დაღესტნის არც ერთ

რაიონში მესაქონლეობა მეურნეობის წამყვანი დარგი არ იყო. თვით თლიარატასა და წუნტაშიც კი, აღნიშნავს მკვლევარი, – წამყვანი დარგი იყო მიწათმოქმედება.

მიწათმოქმედების განვითარების საფუძველზე კიდევ ერთი გარემოება მიუთითებს, კერძოდ, მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული შრომის იარაღების სახელწოდებები დაღესტნის ყველა ხალხისთვის ძირითადად ერთი ჩანს, რაც ამ პერიოდის წარმონაქმნად მიიჩნევა, როცა ეს ხალხები ერთ ენაზე ლაპარაკობდნენ. იგივე შეიძლება ითქვას მიწათმოქმედებასთან დაკავშირებულ დღესასწაულებზეც. ასევე საინტერესოა ის გარემოება, რომ ხუნძურად სოფლის მოსახლეობას ჰქვია რატლარუხაბი“, რაც მიწადმოქმედს ნიშნავს. ამავე ენაზე მქედელს უწოდებდნენ „ტლებელ“-ს, სადაც „ტლებ“ სახნის აღნიშნავს. ხუნძურად „სეგ“ ერთგვარი მარცვალია, რომელსაც დაფქვილი სახით საკვებად იყენებენ, მისგან მათრობელა სასმელსაც იღებენ. სოფ. ტლადალში ერთ-ერთი ტლიბილი „სეგ ტლიბილ“-ის სახელს ატარებს, რაც ტლიბილის ხალხის შრომით სპეციფიკაზე მიუთითებს. სიტყვების ჰიდათლ“ (სოფლის სახელია) და გვაპი“ (შრომითი ერთობის აღნიშნული ტერმინია) ერთი ნაწილი, ჰი“ მარცვლეულთან არის დაკავშირებული და გაცილებით ძველია ვიდრე ხუნძური “შულ“, სიტყვა „ჰი“, „ჰე“ ოჯახს აღნიშნავს დარგინელთა ენაზე. იგი გავრცელებული ყოფილა საერთო დაღესტნური ენის არსებობის ეპოქაში, ამდენადაა ის ბევრად ძველი, ვიდრე ხუნძური სიტყვა “შულ“.

მიწათმოქმედება, როგორც მეურნეობის წამყვანი და ძირითადი დარგი პირველობას ინარჩუნებს ნატურალურიდან სასაქონლო მეურნეობაზე გარდამავალ პერიოდამდე. თლიარატისა და წუნტის მაღალმთიან რაიონებში მოსავლიანობის მაღალ დონეს ხელს უწყობდა მიწების ტყის ზოლებს შორის არსებობა. ავტორთა ნაწილი კატეგორიული წინააღმდეგია იმ შეხედულებისა, რომელიც ერთ ხანს თავს იჩენდა სამეცნიერო ლიტერატურაში და მეცხვარეობას მიწათმოქმედებასთან შედარებით უძველეს სამეურნეო დარგად ასახელებდა. ავტორები თავიანთი შეხედულებას ამაგრებდნენ გიულდენშტენტის ცნობით იმის შესახებ, რომ დიდოელები და გუნძიბელები აკეთებდნენ თოფის წამალს, რისთვისაც გოგირდს ხორბალზე გადაცვლით იძენდნენ და ამით ძალიან მდიდრები იყვნენ. ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს ბალაძორის ცნობაც, რომლის მიხედვითაც ხუნძები არაბებს უხდიდნენ 200000 მერკა მარცვლეულს, მაგრამ ხუნძების ქვეყანა სახნავი მიწების სიმცირეს

აშკარად განიცდიდა. ამაზე ერთი ხალხური თქმულებაც მიუთითებს: კაცი წავიდა მიწის მოსახნავად, როცა საქმეს მორჩა, მხარეთმცოდნე წამოწვა და მიიძინა. გამოღვიძებულმა მიწა ველარ იპოვა, თურმე იგი გაშლილ ნაბადს დაეფარა. ამასთან დაკავშირებით ჰ. ხაშაევს პარადოქსულად მიაჩნია ზ. ნიკოლსკაიას შეხედულება იმის შესახებ, თითქოს ხუნძეთში სახნავი მიწების საძოვრებად გადაქცევა ხდებოდა იმის გამო, რომ მეცხოველეობის პროდუქტები უფრო ფასეული იყო.

ის გარემოება, რომ ხუნძებს საკუთარი პური 4-5 თვეს ყოფნიდათ, დაკავშირებულია იმ დროსთან, როცა მეცხვარეობა მეურნეობის წამყვან დარგად იქცა და ტერასული მიწათმოქმედება დაეცა (XV-XVII სს.). ამ პერიოდიდან მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ხუნძების მეურნეობაში, რამაც ძირითადად შეცვალა მთიელთა ეკონომიკა: სახვნელი მიწათმოქმედების დაწინაურებამ ბარის რაიონებში, სათავე დაუდო სასაქონლო მარცვლეულის წარმოებას. ამის ხარჯზე ხდება კახეთში პურეულის შექმნა, რისთვისაც ამ მხარეს დაღესტნისათვის ბელლის“ როლის შესრულება შეეძლო. სახნავი მიწების საძოვრებად გამოყენება მხოლოდ შემოდგომაზე, მოსავლის აღების შემდეგ შეიძლებოდა.

ნ. ვორონოვი აღნიშნავს რა თავისუფალ თემათა საქმიანობას, აღნიშნავს, რომ დიდობიცი კი თესენ ქერსა და ხორბალს. მიწა იქ ფასობდა მეტად, სადაც სახნავი ნაკვეთები წყლის ტოტებს შორის იყო მოქცეული. ასეთ ადგილებში მიწის მეთაედისთვის იხდიდნენ 100 მან-ს. ხუნძების ქვეყანაში (ავარეთში) სახნავ-სათესი მიწა ზოგან ისე მცირე ყოფილა, რომ ხშირად ტომრებითაც კი მიჰქონდათ და შიშველ კლდეებზე ტკეპნიდნენ.

ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში ხუნძებს სცოდნიათ ტერასების გაკეთება. ამ დროიდან ვითარდება ტერასული მიწათმოქმედება იგი კიდევ უფრო განვითარდა რკინის ხანაში. მიწის სიმცირისა და ქანობიანი რელიეფის პირობებში მიწათმოქმედების კულტურის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი იყო მისთვის ტერასული ხასიათის მინიჭება. ტერასული მეურნეობა მსოფლიოს ყველა ხალხისთვისაა ცნობილი. იგი გამოყენებული ყოფილა ძველი ცივილიზაციის კერებში (ჩინეთი, ინდოეთი, აფრიკა, არაბეთი). მიწათმოქმედების ტერასული სისტემა კაცობრიობის კულტურის უძველესი მიღწევაა. იგი გავრცელებული იყო კავკასიაშიც (ბალყარეთი, ოსეთი, ჩეჩნეთ-ინგუშეთი, ადიღე). ტერასები ძირითადად მთის რელიეფის სამეურნეო

დანიშნულებით გამოყენებასა და მისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს უკავშირდება. მორწყვა აქ მეტისმეტად სპეციფიკურ ხასიათს ატარებს, რამდენადაც დამოკიდებულია მთის წყარო-ნაკადულებზე და ამ რესურსების რეგულირებისა და დაცვის რთულ სისტემას გულისხმობს. კონკრეტული ეთნოგრაფიული მასალა გვიჩვენებს, რომ ნიადაგების დაცვასთან ერთად ტერასები არეგულირებენ ბუნებრივ და ხელოვნურ მორწყვას. ასე, რომ ტერასული სისტემა მიწის ინტენსიური ათვისების მაჩვენებელია. მიწათმოქმედების მაღალ ზონაში ასვლასთან ერთად ტერასირება იზრდება. კავკასიაში ძირითადად ორი სახის ტერასები იყო გამოყენებაში: საბჯენკედლიანი და ტკეპნილი. კონკრეტულად დაღესტანში 3 სახის ტერასებს იცნობდნენ: 1. ტერასები, რომელზედაც დამატებით იყრება მიწა და ნაყოფიერდება, 2. ტერასები, რომელიც ნაცრით ნაყოფიერდება, 3, ტერასები, რომელიც ორივე მეთოდით ნაყოფიერდება.

მთიან დაღესტანში მთის სარწყავი მიწათმოქმედების ფართობი ბარის სარწყავი მიწათმოქმედების ფართობის მხოლოდ 2%-ს შეადგენდა, მაგრამ მიუხედავად ამისა მთის სარწყავი მიწათმოქმედების სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა მეტად დიდია.

მორწყვა ადამიანის საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ამავე დროს, უძველესი დარგია. მორწყვის აბსოლუტური ქრონოლოგიური საწყისის განსაზღვრა ძნელია. იგი საერთოდ მიწათმოქმედების საწყისებს უკავშირდება. მორწყვის გავრცელება ემთხვევა მიწათმოქმედების გავრცელების არეებს. წყლის გადამწყვეტ მნიშვნელობას განსაზღვრავს ბუნებრივი გარემო, პირველ რიგში, კლიმატისა და ნიადაგების პირობები. იმის მიხედვით, თუ რამდენად ძველია რწყვის კულტურა ამა თუ იმ ხალხში, შეიძლება დაისვას საკითხი მათი ბინადარი ცხოვრების სიძველის შესახებ ამავე ტერიტორიაზე, როგორც ეს შეიძლება წარმოჩნდეს საქართველოს მაგალითზე. კახეთში ჩამოსახლებული ლეკებისათვის მეურნეობის წარმოებაში დიდი ხელშეწყობა იყო წყლების სიუხვე. ცნობილია, რომ ყვარლის რაიონში, სადაც ისინი ცხოვრობენ, მიწის სარწყავების გამო აქაური დიდი გუთანაი 4-8 უღელ გამწევ ძალას კმარობდა. აქაური სოფლები კავკასიონის მთებიდან გამომდინარე წყლებით ირწყვებოდა. ამასთან დამატებით გაყავდათ რუები. მაგ: ავანის ხევზე ავანის ხევის რუ რწყავდა ახალსოფელს, შორახევზე შორახევის რუ, ასევე – ახალსოფელს,

ჩანტლის წყლის წყაროები – ახალ გავაზს. ავანის ხევისა და შორი ხევის ტოტებით ირწყვებოდა ლეკის სოფლებიც.

ხუნძები კახეთშიც იცნობდნენ ორმინდვრიან თესლბრუნვას. არსებობდა ერთ და სამმინდვრიანი თესლბრუნვის ხერხებიც. ასეთ პირობებში მინდვრის ერთი ნაწილი თადარიგში რჩებოდა, საქოვრად გამოიყენებოდა, მეორე იხვნებოდა და ითესებოდა. მიწის სიმციროს გამო ხუნძეთში მიწას არ ასვენებდნენ, არამედ ყოველწლიურად ამუშავებდნენ. ნაყოფიერების მიზნით მიმართავდნენ კულტურების მონაცვლეობას. თლიარატისა და ჭაროდინის რაიონებში მიწების ათვისებას ტყის გადახვნით აღწევდნენ, გაჩეხილ ტყეს წვავდნენ, ასეთ მიწებზე რამდენიმე წელს თესავდნენ, მერე ანეულად ტოვებდნენ. გავრცელებული სამეურეო კულტურებია: ქერი (ოხ), პური (როთლ), ოსპი (ჰეალ), ბარდა (ხითლარო), ფეტვი (მუჩ), ჭვავი (ოგობ), ცერცვი (ეერპოლო), შვრია (წეხა), სიმინდი (სიმინდი), ლობიო (პოლო), კარტოფილი (კარტუფელი).

დიდოეთიდან მთათუშეთში შემოსულია კარტოფილის ჯიში, რომელსაც “დიდურ კარტოფილს” უწოდებენ. დაღესტანი ითვლება რიგი კულტურული მცენარეების სამშობლოდ. გამოვლენილია ხორბლის ცალკეული ჯიშების ენდემურობა. დაღესტნის ტერიტორიაზე დაფიქსირებულია ამ მნიშვნელოვანი კულტურის 55 სახეობა. კულტურათა ნაწილი კი საქართველოდან გავრცელდა მთაში. ამის გამოა, რომ ქართულად ედერს “სიმინდი”, მას სხვანაირად “წოროსა როლთ”-ს ეძახიან, რაც ნიშნავს “ხორბალი ალაზნიდან”-ს. რაც შეეხება ამ კულტურის თვით კახეთში გავრცელებას, XIX ს-ის II ნახევარში ის გავრცელდა დასავლეთ საქართველოდან მას შემდეგ, რაც კახეთის მიწაზე მოხდა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ნაწილის დამკვიდრება. ადრე ამ კულტურას კახელები მაინცდამაინც პატივს არ სცემდნენ. შესაბამისად გავრცელდა დასავლურ ქართული ტიპის ბოძებზე შემდგარი სასიმინდე გოდრები.

მარცვლეულს ინახავდნენ ბელელში (ცალურ). კაპუქში იგი ეზოში იყო მოთავსებული, სახლთან ახლოს ან მასზედ მიშენებული, ანწუხში კი უშუალოდ სახლში თავსდებოდა. იგი ორ დედაბოძს შორის ოთახივით იყო მოწყობილი. საინტერესო ენათმეცნიერული დაკვირვება აქვს ტ. გუდავას. ბოთლიხურსა და ხუნძახურში მარცვლის საშრობს ჰქვია “ვეცია” და “ვეცო”. აქვე ინახება მარცვლეული. იგივე დანიშნულება აქვს ქართულ “ვეცოს”-ს.

მიწათმოქმედებასთანაა დაკავშირებული ზოგიერთი თქმა: “მარცვალი ივსება, თავთავი მძიმდება”, “მდიდარი სახლი სიმდიდრე არაა, სიმდიდრე უხვი ყანაა”, “ვინც გაზაფხულზე არას დასთვისავს, ის შემოდგომაზე ვერას მოიმკის”, “სავსე მინდორი ალაჰსაც უყვარს”, “სჯობს წორზე სახელი გაგვივარდეს, ვიდრე იქ ხორბალი ვიყიდოთ” და ა. შ.

მიწათმოქმედების კულტურის სიძველისა და სრულყოფილების შესახებ სრულ ცოდნას გვაძლევს მიწათმოქმედების ხალხური კალენდარი, ასევე, ხუნებში გავრცელებული და დღემდე ფრაგმენტულად შემონახული აგრარული წეს-ჩვეულებები.

მიწათმოქმედების ხალხური კალენდრის წარმოშობა იმ შორეულ წარსულს ეკუთვნის, როცა ადამიანი აბსოლუტურად დამოკიდებული იყო ბუნების ძალებზე. სამეურნეო კალენდარი განსაზღვრულ გარემოში ბუნებრივ-გეოგრაფიულ პირობებთან იყო დაკავშირებული (მ, გვ.18) ხუნძეთის მთიელთა მრავალსაუკუნოვან გამოცდილებაზე დამყარებული სამეურნეო კალენდრის ნორმები ზუსტად იყო განსაზღვრული. განსხვავება ნორმებს შორის უმნიშვნელო იყო.

წლის სამეურნეო დროებად დაყოფა მთელს დაღესტანში ერთნაირად ხდებოდა. გაზაფხულის მოსვლას ყველგან ერთნაირად ხვდებოდნენ: უკვირდებოდნენ მზის ჩრდილის თამაშს წინასწარ მონიშნულ კლდის წვერზე. დროის გამოთვლისათვის საჭირო გარკვეული პრაქტიკული ცოდნა სოფლის მეურნეობის რთული და მრავალპროფილიანი დარგების ეფექტური გაძღოლის საშუალებას იძლეოდა. ინგუშებმა იცოდნენ მზეს და მთვარეს წელიწადის რომელ დროს რა მდგომარეობა ჰქონდა ცაზე და წლის დროებსაც იმის მიხედვით განსაზღვრავდნენ. უშუალო დაკვირვების შედეგს წარმოადგენდა და საკმაოდ ეფექტურ საშუალებად ითვლებოდა მზის ჩრდილის სიგრძის განსაზღვრა. ეს წესი მარტივია, რადგან გეოგრაფიული პირობების ცოდნას მოითხოვს მარტო. ასეთ წესებს კავკასიაში, როგორც ჩანს, ყველა ხალხი იცნობდა. ლაკების სოფ. ბალხარში შედარებით სრულყოფილი სვეტების ასტრონომიული კალენდარი ყოფილა: აღმოსავლეთის ჰვი-ზე (სვეტია) რომ მზე ამოვიდოდა, ეს გაზაფხულის მაუწყებელი იყო, ერთი თვის მერე მეორე სვეტზე ამოდიოდა და დროის მიმდინარეობა ადვილი გასაგები ხდებოდა. ამგვარ სვეტებს თუშები “მილიონას” სახელით იცნობდნენ.

გაზაფხულის დაწყებამდე გასათხოვარი გოგონები მინდორში მიდიოდნენ ერთგვარი მცენარის მოსაკრეფად. მას მოხარულ ქერთან ერთად მწვანე ნაქერში გახვეულს თავქვე იდებდნენ საბედოს ნახვის იმედით. დაღესტნისა და ზოგადად კავკასიის ხალხებში გავრცელებულ მცენარის კულტთან დაკავშირებული რწმენა—წარმოდგენების შესახებ მრავალი ეთნოგრაფიული ჩანაწერი არსებობს. ქართულსა და აზერბაიჯანულ აგრარულ კალენდარში გაზაფხულის მეოთხე სტადია ვარდისყვავილობით არის ცნობილი. ბევრ ხალხში სამეურნეო წლის დასაწყისი ახალი წლის დღესასწაულს ემთხვევა. მაგ: მაჰმადიანებში ნავროზის პირველი ოთხი დღე წლის ოთხ დროს შეესაბამება და ამის მიხედვით ვარაუდობენ წლის მოსავალს. გაზაფხულის დაწყებას ლეზგები კოცონებით ხვდებიან. ასეა აღულებშიც. ხალხური რწმენით, ანთებული კოცონები მიცვალებულებს ეძღვნება.

ხუნძების საგაზაფხულო დღესასწაულებში ყველაზე პოპულარულია “ხვნის დღესასწაული” (“ოც ბაი”). სხვანაირად მას “ოცბარავ ყო”—საც უწოდებენ, რაც “ხარებით ხვნის დღეს” ნიშნავს. ამ დღეს იმ კაცის მიწას ხნავენ, ვისაც იმ წელს ვაყი შეეძინა. პირველ მხვნელად არ ირჩევენ ქოსებს. მხვნელს გადმობრუნებული ქურჭი აცვია. რიტუალის მთავარი პერსონაჟის ასეთი ჩაცმულობა ხშირად გვხვდება ხუნძურ დღესასწაულებში. მიწის დამუშავებას ახალ მთვარეზე არჩევენ. იგი იკრძალება მაშინ, როცა სოფელში მიცვალებულია. ასევე დაუშვებელია მიწის მოხვნა ოქტომბრის ბოლი კვირას და ნოემბრის პირველ კვირას. ეს წესი საქართველოშიც ყოფილა გავრცელებული. (“ირმის გორება”). ასეთი აკრძალვა უკავშირდება მიწათმოქმედთა ღრმა ცოდნას, რომელიც ითვისებისწინებს ხანგრძლივ ვეგეტაციურ პერიოდს. რაც შეეხება მიცვალებულსა და მიწის კულტების კავშირს, ამის შესატყვისი მასალა ქართულ ეთნოგრაფიაში ბევრია დამოწმებული (9. გვ. 247). მოსავლის სეტყვისაგან დაცვისა და სიუხვის უზრუნველყოფის მიზნით ხვნის დაწყებამდე მინდორს შავ ცხვარს შემოატარებდნენ. შემოტარებისას ცხვარს ამ დღისთვის გაკეთებული ტკბილეულის ნარჩენებს ესროდნენ. დასასრულს ნადიმი ეწყობოდა იმის ოჯახში, ვინც იმ წელს თავისი ორი წლის ვაყი პირველად გამოიყვანა რიტუალში მონაწილეობის მისაღებად. გარდა რიტუალური ნაწილისა “ოც ბაი”—ს დღესასწაულს შეჯობრებებიც ახლავს (ჯირითი, მამლების შეჯობრი, მოხუცების ჭიდაობა, ქვის სროლა). ყველა მათგანს უშუალო კავშირი აქვს აგრარული დღესასწაულის მაგიურ გამოხატულებასთან. ჯირითში

გამარჯვებულს ყელზე სარიტუალო კვერებს კიდებდნენ, რომელსაც ბეჭდის ან ჯვრის ფორმა ჰქონდა. კავკასიის და არამარტო კავკასიის ხალხებში ცხენი მზის ღვთაებას უკავშირდება და ამავე დროს, მიცვალებულის სულეთში გადასვლის საშუალებაა. საკუთრივ ხუნძური მასალა მტკიცე საფუძველია მიცვალებულისა და ცხენის კულტების ურთიერთკავშირის შესასწავლად. რაც შეეხება მოლას დღესასწაულში მონაწილეობას, სადაც ის ზოგჯერ მხენელის როლში გამოდიოდა, აქ საქმე გვაქვს მუსულმანური იდეოლოგიის შეგუებასთან ადგილობრივ რწმენა-წარმოდგენებთან.

სამეურნეო წლის პირველი პერიოდი 18 ივნისს მთავრდებოდა. აქედან 22 ივლისამდე გრძელდებოდა “ზაფხულის დღეები”, რომელიც, ასევე, ორი ნაწილისაგან შედგებოდა: რიტუალური და შეჯიბრებები. ყურადღებას იქცევს ზაფხულის თვეებში მიმდინარე უცოლო ვაჟების შეკრებილობები, რომელიც მეტად დისციპლინირებული იყო, თავისი კანონები ჰქონდა და მმართველობა იერარქიულ ფორმას ატარებდა. მთელი ამ პოვლენის ორგანიზატორს “შაჰი” ჰქვია. დღესასწაულის დასასრულს მონაწილენი წყალზე მიდიან, რაც მათ სიცოცხლეში ერთადერთხელ ხდება, სურებს აწყობენ მწკრივში და თვითონ ყვავილების საკრეფად მიდიან მინდორში. შემდეგ ყვავილებით რთავენ სურათებს და სახლებში გზავნიან, თვითონ ისევ შეკრებილობის ადგილზე ბრუნდებიან და ცეკვავენ. ამ დღესასწაულში ყვავილები, რა თქმა უნდა, უბრალოდ არ ფიგურირებს. ყვავილებთან, მცენარეულ კულტთან დაკავშირებული დღესასწაულები მსოფლიოს უამრავი ხალხისთვის არის ცნობილი. გამონაკლისი არც კავკასიის ხალხები არიან. იგი დამახასიათებელია მიწათმოქმედი ხალხისთვის ძველ აღმოსავლეთში, რომსა და საბერძნეთში. ყვავილების დღესასწაული შემგროვებლობის დროიდან მომდინარედ ითვლება.

სამეურნეო წლის III პერიოდი 18 სექტემბერს იწყება, 18 დახ 22 სექტემბრამდე ხუნძები მოსავლის აღებას დღესასწაულობდნენ.

სამეურნეო წლის IV პერიოდი 18 დეკემბრიდან იწყება და გრძელდება ახალი სამეურნეო წლის დაწყებამდე. ე. ი. 21 მარტამდე. 18–22 დეკემბრის დღეებს “ნაცრის დღეები” ჰქვია. ეს დღეები დიდი კოცონებით აღინიშნება. აცხობენ “ნაცრის პურებს” და აკეთებენ მათრობელასასმელს. დეკემბრის 22–დან თვენახევრის შემდეგ ზამთარი გაშუალდება, ე. ი. დაახლოებით 7–8 თებერვალს აღინიშნება “ჰი“-ს დღესასწაული, სიტყვა “ჰი” ხუნძურად მარცვლეულს ნიშნავს,

ამდენად, მისი ზამთრის თვეებთან დაკავშირება შემთხვევით არაა. 22–23–24 თებერვალს აღინიშნება “მზის დღე”. ანწუხის მაღალმთიან სოფლებში მცირეწლოვანი ვაჟები კარდაკარ ჩამოივლიან და ხილს აგროვებენ (“სიი ბაწო” – “დათვი და მგელი”). მონაწილენი დათვისა და მგლის ნიღბებით იმოსებიან. ზამთრის ამ დღესასწაულს უფრო სრულყოფილი სახე შენარჩუნებული აქვს დიდოს სოფლებში (შიიტლ, გენიატლ, ქითური). მას “იგბების დღესასწაული ჰქვია (“იგბი” ბექდისებური პურია), ზოგ სოფელში იგი ხვნის დასაწყისს ემთხვევა. ნიღბების გამოყენების მიხედვით იგი ქართულ ბერიკაობას მოგვაგონებს. საწესო ნიღბების შესწავლის შედეგად ეთნოგრაფები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ თხის გამომსახველი შავი ნიღბის არსებობა მიწის ნაყოფიერებასთან იყო დაკავშირებული (10. გვ. 197). ცნობილია, რომ დიონისეს დღესასწაულში თხის ტყავსა და ნიღბებში გამოწყობილი მონაწილენი გუთანში ებმებიან და მოსავალზე ლოცულობენ. მსგავსი წარმართული დღესასწაული სხვადასხვა ცხოველებად შენიღბულ პერსონაჟთა მონაწილეობით გავრცელებული იყო ძველ აღმოსავლეთსა და ელინურ სამყაროში. ასეთია მესოპოტამიური თამუზისა და ბიზანტიური იშთარის, აღონისის, ასტარტას, დემეტრეს და სხვათა მრავალდღიანი დღესასწაულები. “იგბების” ცენტრალური ფიგურაა ქვიდილი, რომელსაც მთავარი გმირები (“მგლები”) წარმოდგენის დასასრულს ყელს გამოჭრიან ისე, რომ მისი სისხლი მდინარეში ჩადიოდეს. ცოტა ხნის შემდეგ კი “გაცოცხლდება” და ისევ გამოჩნდება მოედანზე. ასეთი მოქმედებით ქვიდილი მოკვდავი და აღდგენადი ღვთაებების ნიშნებს ატარებს. შემთხვევითი არაა, რომ ამ ტიპის ღვთაებებთან დაკავშირებული დღესასწაული სწორედ გაზაფხულზე ტარდება. ამით იგი ბუნების აღორძინების იდეასთანაა დაკავშირებული (ქართული ლიტანალი, სულთაკრევა) (11. გვ. 49). ქართული საწესჩვეულებო წარმოდგენები ამ შემთხვევაში დიდ მსგავსებას ავლენს ახლო აღმოსავლეთსა და ევროპის ძველი ხალხის ანალოგიებთან (ოზირისი, ატისი, აღონისი, არსენი) (12. გვ. 75) შეიძლება ითქვას, რომ ქვიდილი ბერიკას მსგავსად წარმოადგენდა საქონლისა და ადამიანის გამრავლებისა და მოსავლიანობის სიუხვისათვის გამიზნულ მთავარ პერსონაჟს.

ზამთრის დღეებში ხუნძები (და სხვა დაღესტნელებიც) “სიძეების საღამოებს” მართავდნენ. ყოველი სიდედრი მოვალე იყო ამ დღეს სტუმრად მოეწვია სიძე, რასაც გამანაყოფიერებელი ძალების

გაძლიერების საშუალებად ხსნიან ახალი სამეურნეო წლის ზღურბლზე.

მიწათმოქმედების განვითარების მკაცრი პირობები ბუნებაზე დამოკიდებულ მთიელებს მეურნეობის წარმოების ირაციონალური გზებისკენ უბიძგებდა. ეს განაპირობა იმ გარემოებამაც, რომ დაღესტნის მაღალმთიანი ზოლი სარწყავად მოუხერხებელი იყო. წვიმის გამოწვევის ყველაზე გავრცელებული წესი იყო შეგროვებული ქვების წყალში ჩაყრა. ქვები მზის ფორმისა უნდა ყოფილიყო, მის წყალში ჩაყრას, “მზის ბანაობას” წვიმის მოსვლა უნდა გამოეწვია. ჭოხელი ქალები დამალდას ხეობაში დიდ შავ ქვასთან სადილს ტოვებდნენ. წვიმის გამოწვევის თუ დარის საჭიროებისთვის საგანგებო ქვების არსებობა დამოწმებული აქვს გ. ჩიტაიას, თ. ოჩიაურს, მ. გეგეშიძეს, გ. ჭალაბაძეს და სხვა ავტორებს. წვიმის გამოსაწვევად კენჭებზე ლოცვა ყაბარდოშიც ყოფილა გავრცელებული. გვალვის დროს წმინდა ქვებთან ლოცვა და შავი თხის შეწირვა ყარაჩაელებს სცოდნიათ. ბალყარეთის ერთი სოფლის ცენტრში დიდი ზომის ქვა იდო და გვალვის დროს მოხუცები მის გადმობრუნებას ცდილობდნენ, რათა წვიმა წამოსულიყო (13. გვ. 181).

წვიმის გამოსაწვევად სხვა წესებსაც მიმართავდნენ: გადმობრუნებულ ტყავებს იცვამდნენ და სოფლის გარეთ, მინდორში იკრიბებოდნენ. ლოცვის დროს ქალები მამაკაცების წინაშე მუხლმოყრილები იდგნენ. წვიმის გამოსაწვევი რიტუალების დიდი წილი წმინდა ტბებთან სრულდებოდა. წმინდა ტბებისადმი თაყვანისცემა კავკასიის ყველა ხალხშია ცნობილი. საქართველოს მოსაზღვრე დაღესტნურ სოფ. ბეჟთაში ამგვარი ტბის პირას ცხვარს კლავდნენ, სისხლი ტბაში უნდა ჩაღვრილიყო, შემდეგ შიგ ორ ვაჟს აგდებდნენ სისხლის წყალში არევის მიზნით, რაც თავის მხრივ წყლისთვის ადამიანის შეწირვის იმიტაციას წარმოადგენს. წვიმის გამოწვევის ირაციონალური მეთოდი უკავშირდება მიცვალებულის კულტს: გვალვის დროს ძველ საფლავებს ჭრიან, ძვლებს ღია ცის ქვეშ ალაგებენ, სჯერათ, თუ მას მზის სხივი მოხვდება, აუცილებლად გაწვიმდება. ამ შემთხვევაში განსაკუთრებულია ტყუპების დედისადმი დამოკიდებულება, სადაც იკვეთება შეხედულება ტყუპებზე, როგორც ზებუნებრივ მოვლენაზე. ტყუპების კავშირი წყალთან ცნობილია აფრიკის ეთნოგრაფიაშიც. ინდოელებს სჯეროდათ, რომ ტყუპებს შეუძლიათ უშველონ მათ გვალვის ან წყალდიდობის დროს. ეს კულტი ყველაზე წარმოჩენილია მიწათმოქმედ ხალხებში.

ხუნძებს, ასევე, სჯეროდათ, რომ შეიხების საფლავზე დაღვრილ სისხლს წვიმა გარეცხავდა. ასეთი იყო შეიხ ისმაილის საფლავი სოფ.

ხარადაში. დიდი პატივით სარგებლობდა ალა—შეიხის საფლავიც (ფეხმძიმე ქალები წყალს სვამდნენ თითქოსდა მისი კუთვნილი ფეხსაცმლიდან). წმინდად ითვლებოდა აბუ—მუსლიმის საფლავი სოფ. სოგრატლში. წმინდად ითვლებოდა მათ საფლავებთან მდგარი ხეები და მსხვერპლს სწირავდნენ. როგორც ჩანს, მაჰმადიანურმა რელიგიამ თავისი წმინდანები შესთავაზა ხალხურ რწმენა—წარმოდგენებს და ამით თავი დაიმკვიდრა კიდევ.

არანაკლებ საინტერესოდ მოჩანს ხუნძების თითქმის ყველა სოფელში დაფიქსირებული ფოთლებით შებურვილი ბავშვის გაწუწუვა გვალვის დროს. მას წყალს ასხამდნენ და დასძახოდნენ: “ილაჰ, ილალაჰ, ბეგი ბეჰედ”. აქ მოხსენიებული “ბეჰედ” ზ. ნიკოლსკიამ ადგილობრივ ღვთაებად მიიჩნია (14. გვ. 181). ირკვევა კი, რომ იგი ალაჰის ერთ—ერთი ეპითეტია. საყოველთაოდაა ცნობილი გვალვის დროს ბაყაყის მოკვლის წესი. ანწუხელები მას რძეში აგდებდნენ. ხუნძებში ცნობილი იყო წვიმის გამოწვევის კიდევ ერთი რიტუალი, რომლის პერსონაჟს “წვიმის ვირი” ერქვა. შერჩეულ კაცს მწვანით მოსავდნენ, ქუჩაში მიჰყავდათ და წუწავდნენ. ვეინახები ბავშვს ფეხებამდემწვდომ ხის ტოტებს ჩამოაცმევდნენ, მას უკან 20—30 ახალგაზრდა მოჰყვებოდა, რომელთაც გადმობრუნებული ქურქები ეცვათ. გადმობრუნებული ქურქების ჩაცმულობის წესს ყურადღება მიაქცია ეთნოგრაფმა ჯ. რუხაძემ (15. გვ. 57). (ასეა შემოსილი ბერიკა, ქვიდილი და პირველი კვალის გამტარებელიც). ცხვარი, ცხვრის გამოსახულება, ტყაპუჭი და ბეწვი განაყოფიერებისა და აღორძინების ძალის შემცველად იყო მიჩნეული და უეჭველია მას, ბუნების აღორძინებასთან დაკავშირებულ დღესასწაულშიც მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაეკავებინა. გადმობრუნებული ქურქი აცვია ბარაყის რიტუალის მთავარ პერსონაჟს ხუმარა აყელავას. ყაბარდოში დადგენილია, რომ ბარაყის რიტუალი გენეტიკურად უკავშირდება აღმოსავლეთ საქართველოს მთაში გავრცელებულ “ბორაყებს”. ეს დღესასწაული თავისი პერსონაჟებითა და სიუჟეტით ახლოს დგას ბერიკაობა—ყვენობასთან და თავის მხრივ ანალოგიას პოულობს დაღესტნურ “იგბების” დღესასწაულთან. თავის მხრივ ბერიკა, ქვიდილი და აყელავა მოკვდავ და აღდგენად ღვთაებათა რიგში შედიან და აგრარულ კულტებს წარმოადგენენ.

რაც შეეხება რიტუალის მთავარი გმირის გაწუწუვის წესს, ამის შესახებ არსებობს ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება (16. გვ. 78). ქალების წყლით გაწუწუვა მან წარმართობის დროინდელ ღრუბელთა ბატონების

ღვთაებისადმი ადამიანის მსხვერპლად შეწირვის სიმბოლურ მოქმედებად მიიჩინა. ამ ციკლის დღესასწაულებში მწვანე ფერი უშუალოდ გამანაყოფიერებელ ძალებთან არის დაკავშირებული. წყლისადმი ადამიანის შეწირვის ძველი ჩვეულების ნაშთი დევს ალულების დღესასწაულში, რომლის დროსაც ქალები წყალში აგდებენ მწყემსს. მოგვიანებით მსხვერპლ შეწირვა ადამიანის გაწუწვით შეიცვალა. მაგრამ მარტო გვალვა არ უქმნის სიძნელეებს მთიელებს, შეიძლება ხანგრძლივი წვიმიანობაც უსარგებლო აღმოჩნდეს. ამისგან თავისდასაღწევად გარეთ გამოჰქონდათ ხანჯალი, როცა წვიმის წვეთი ხანჯლის ფხაზე გადატყდებოდა, წვიმა გადაიღებდა. რკინის იარაღს სეტყვის დროსაც იყენებდნენ. ასეთი წეს-ჩვეულების საფუძველია არა მარტო მაგიური ძალა, არამედ ცდაც რკინის როგორც ელექტრომაგნიტის მიმართ.

წარმოდგენილი ეთნოგრაფიული მასალა კარგად ავლენს ძველ ტრადიციულ რწმენა-წარმოდგენებს, რომელთა შემონახვას ხელი ვერ შეუშალა დაღესტანში გავრცელებულმა ორმა ოფიციალურმა რელიგიამ-ქრისტიანობამ და მაჰმადიანობამ. ხუნძები ცუდად იცნობდნენ რა მუსულმანურ რელიგიას, მათთვის უფრო ხელსაყრელი იყო ძველი მაგიური საშუალებების გამოყენება ყოველდღიურ პრაქტიკულ ცხოვრებაში. მუსულმანური იდეალოგიის წარმომადგენლებმა აირჩიეს შერიგებოდნენ ამ მდგომარეობას და აქტიური მონაწილეობა მიეღოთ ძველი წეს-ჩვეულების მაჰმადიანურ მოტივირებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Котович В., Верхнегунибское поселение (предварительное сообщение о раскопках 1958 г. МАД П. Мх-ла, 1967., Круглов А., Северовосточный Кавказ во II-I тыс. до н. э. // Краткие сообщения о докладах и полевых сообщениях НИИК вып. XII, М-Л., 1940., Калоев Б., земледелие народов кавказа, Л., 1987.
2. Асиятилов С., Историко-этнографические очерки аварцев, (XIX-XX вв.), Мх-ла, 1964.
3. Генко А., О назначениях плуга в Северокавказских языках // Доклады АН СССР. М. - 1930
4. Гюденштедт, Географические и статистические отношения Грузии и Кавказа, Из путешествии ч-на академии И. А. Г. через Россию и по кавказским горам в 1870, 71, 42, 73 годах, СПб, 1809.
5. Баладзори, Книга завоевания стран, Баку, 1917.
6. Хашаев Х., занятие населения Дагестана, Мх-ла, 1959.
7. Воронов Н., Из путешествии по Дагестану, ССКГ, I, 1868.
8. Р. Магомеров, В. Дзагунова. К истории земледелия в Дагестане, Мх-ла, 1969.
9. ბ. ბრეგაძე, ბერეკობის ისტორიის შესწავლისათვის, მაცნე, I, 1980.
10. ჯ. რუხაძე, სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ქართული საწესო ნიღბები, მსე, VII, 1955.
11. М. Кантария, Из истории хозяйственного освоения Панкисского ущелья Кистами, КЭС, VII, 1988.
12. ი. სურგულაძე, ქართველთა აგრარული რწმენა-წარმოდგენების ისტორიიდან (მოკვდავი და აღდგენადი ღვთაებები) მსე XIX, 1978.

13. М. Кантария, Экологические аспекты традиционной хозяйственной культуры народов Северного Кавказа. Тб., 1989.
14. З. Никольская, Религиозное представление и земледельческие обряды аварцев (к вопросу о синкретизме религиозных верований аварцев // Вопросы истории религии и атеизма, М., 1959.
15. ზ. რუხაძე, ქართული ხალხური დღესასწაული, თბ., 1986.
16. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბ., 1951.

Nana Omarashvili

Agriculture and agrarian customs among the Avar

Summary

Agriculture has a long history in Dagestan. Archeological monuments enrich our notion of ancientness of agriculture as well as its role. As is becoming clear, agriculture was highly developed in the eneolithic and bronze ages when the ethnic composition of Dagestan population was defined. All names of agricultural implements were the same for the entire population of Dagestan. Those implements date back to the period when this population spoke one and the same language. The same could be said about Agricultural holidays.

The ethnographical materials presented in this paper reveal the old traditional beliefs of the Avars, that were not affected by two, widespread religions in Dagestan-Christianity and Islam.

It was easier for Dagestanian highlanders to use old magic methods in their everyday practical life. The representatives of the Islamic ideology decided to allow this situation to persist and give Islamic motivation to these old beliefs.